



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ენგური



მდინარე ენგური

ენგური, მდინარე დას. საქართველოში, სვანეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე და კოლხეთის ბარში, მესტიის, წალენჯიხის, ზუგდიდისა და გალის მუნიციპალიტეტებში. სიგრძე 213 კმ, აუზის ფართ. 4060 კმ². ე. წარმოიქმნება შხარის, ნამყვამისა და ენგურ-უხვანის მყინვარებიდან გამომდინარე რამდენიმე ნაკადის შეერთებით. ე-ის აუზის წილად მოდის საქართვ. მყინვარების საერთო რაოდენობის 38% და ფართობის 57,7%. ხეობაში განლაგებულია საქართვ. უდიდესი მყინვარები: ლეხზირი, წანერი, ჭალაათი, ადიში, ხალდე და სხვ. ე. სოფ. ანაკლიასთან ერთვის შავ

ზღვას. მისი მთავარი შენაკადებია: მარჯვენა – ადიშჭალა, ხალდეჭალა, მულხრა, დოღრა, ნაკრა, ნენსკრა; მარცხენა – ხაიშურა, ხუმფრერი, ლასილი, მაგანა, ჯუმი და სხვ. ე. გემო წელში კვეთს სვანეთის ქვაბულს, შემდეგ კი ღრმა და ვიწრო ხეობაში მიედინება. მდინარის კალაპოტი გემო და შუა დინებაში ჭორომიანია. ქ. ჯვართან ე. გამოდის კოლხეთის დაბლობზე. სოფ. რუხთან იყოფა ორ ტოტად, რ-თა შორის მოქცეულია 12 კმ სიგრძისა და 0,5-2,0 კმ სიგანის კუნძული, რ-ზეც გაშენებულია სოფ. შამგონა. ე. შერეული საზრდოობის მდინარეა: გემოთში წლ. ჩამონადენის 66%-ს შეადგენს თოვლისა და მყინვარის წყალი, 22%-ს – გრუნტის წყალი, 12%-ს – წვიმის წყალი; ქვემოთში, შესაბამისად – 18%, 26% და 56%-ს. წყალდიდობა იცის გაზაფხულსა და ზაფხულში, წყალმცირეა ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი სოფ. ხაიშთან 109 მ³/წმ შეადგენს. გემოთში ე-ს იყენებენ ხეტყის დასაცურებლად, ქვემოთში – ენერგეტ. მიზნებისათვის და სარწყავად. მდინარეზე აგებულია ჯვრის წყალსაცავი და „ენგურჰესი“. ე-ის წყლის დიდი ნაწილი ენგურჰესის დაწნევიით დერივაციული გვირაბით ჩაედინება გალის წყალსაცავში.

